

"24 საათის" ფიქიანი ნომერი

*2424

ინილეთ ანართი



ბარაკ ობამა: რინეთი და ამერიკა მოინაადმდეაბაბი არ არიან

A7



უღინევი ბაბრის წინ

A13



24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია ინილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



ქართული, მაზასადაბა - ევროპული


ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ - კვლევის შედეგები

თამარ ივანიძე

ქართველები ენთუზიაზმით ისწრაფვიან ევროპისკენ და ევროკავშირში გაწევრიანებისკენ, აქვთ დიდი მოლოდინი და ამ გზაზე გადასალახი დაბრკოლებების რეალისტური შეფასება, - ასეთია ევროკავშირისადმი საქართველოს საზოგადოების დამოკიდებულების პირველი ყოვლისმომცველი კვლევის მოკლე დასკვნა. რას აფასებენ ქართველები ევროკავშირში? რას ელიან ისინი ევროკავშირთან დაახლოებისგან? რა აშფოთებს

მათ ამ პროცესში? რის შესახებ სურთ მეტის ვაგება? - ასეთი იყო ძირითადი კითხვები, რომლებზეც პასუხების მოძიება 2009 წლის აგვისტოში კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა სცადა. ცენტრი ევრაზიის თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში მუშაობს. გამოკითხვა პირისპირი ინტერვიუს მეთოდით ჩატარდა. გამოიკითხა 1800 მეტი რესპონდენტი. კვლევის შედეგები "24 საათს" ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა მიაწოდა:

ბაზრძალაბა A3 გვერდზე



გაზის დიქტატის აღსასრული

ღიმიტრი ავალიანი

რუსეთი სულ უფრო მეტ ბერკეტს კარგავს "ნაბუკოს" პროექტის წინააღმდეგ. მალე თურქმენეთი დამოუკიდებლად შეძლებს ჩინეთსა და ირანში გაზის ექსპორტის განხორციელებას. თურქეთ-ირანის გაზის გარიგების შემდეგ კრემლმა კიდევ ერთი დარტყმა მიიღო. სულ უფრო მკაფიო ხდება საფრთხე, რომელიც რუსული გაზის მონოპოლიას და ევროპაზე კრემლის პოლიტიკურ ზეგავლენას ემუქრება. საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესიით გამოწვეული პრობლემების ქმედითი გადაწყვეტის გზა ევროპის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე გადის. ამ გზაზე კი კრემლი პოზიციებს დღით-დღე თმობს.

თურქმენეთი გაზის ექსპორტის ახალ მარშრუტებზე მუშაობს. უკვე პრაქტიკულად მზად არის ახალი გაზსადენი ირანის მიმართულე-ბით. მისი ამოქმედება დეკემბერში იგეგმება. ამის შედეგად ირანში თურქმენული გაზის ექსპორტი წელიწადში 8 მილიარდიდან 20 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაიზრდება. დღესდღეობით გაზის მარაგებით მდიდარი, თუმცა სრულყოფილი ინფრასტრუქტურის არმქონე ირანი თურქმენულ აირს ქვეყნის

ჩრდილოეთი რეგიონების მომარაგებისთვის იყენებს. სამუშაოების მიმდინარეობას პირადად გაეცნო თურქმენეთის პრეზიდენტი გურბანგული ბერდიმუხამედოვი. მანამდე კი მან სამანდეპეს საბადო მოინახულა, საიდანაც სათავეს იღებს ახალი გაზსადენი თურქმენეთი-უზბეკეთი-ყაზახეთი-ჩინეთი. ამ გაზსადენის ამოქმედებაც დეკემბერშია დაგეგმილი.

ბაზრძალაბა A2 გვერდზე

ოლღა, ლილია, მარიაში, ხათუნა, ვერა, ანა, ეკატერინა...

კავკასიურ სახლში რეპრესირებული ქალებისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა

თამარ ქიქნაძე

რა ვიცი რეპრესირებულებზე, ან პერიოდზე, როდესაც ათიათასობით უდანაშაულო გადასახლეს, განირეს? ამის შესახებ ბევრი იციან საზოგადოება "მემორიალის" წარმომადგენლებმა, ადამიანებმა, რომლებიც რეპრესირებულთა, პოლიტპატიმართა ხსოვნის შესანარჩუნებლად ძალისხმევას არ იშურებენ, მაშინაც კი, როდესაც თავშესაფრის გარეშე არიან დარჩენილი. "С получением настоящего приказа приступите к репрессированию жен изменников родины, членов право-троцкистских шпионско-диверсионных организаций, осужденных военной коллегией и военными трибуналами по первой и второй категории, начиная с 1-го августа 1936 года. При проведении этой операции, руководствуйтесь следующим:..." - და იწყება თავებად დაყოფილი 36-პუნქტიანი

ბაზრძალაბა A8 გვერდზე



ბუეუა შავიშვილი - გადასახლებიდან ველარ დაბრუნდა



ხათუნა ჭიჭინაძე - დახვრიტეს

მმართველი პარტია კოსოვოს არჩევნებში თავის გამარჯვებას აცხადებს

კოსოვოს თვითღიარებული რესპუბლიკის მმართველმა დემოკრატიულმა პარტიამ გამოაცხადა, რომ კვირას გამართულ ადგილობრივ არჩევნებში მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში გაიმარჯვა - ლაპარაკია ოცდათექვსმეტიდან ოც რაიონზე. პარტიის წარმომადგენლის სიტყვების თანახმად, პრიპტი-ნაში პარტიის ახალგაზრდულმა ფრთამ "კოსოვოს დემოკრატიულმა ლიგამ" გაიმარჯვა. ამასთან, ზოგიერთ რაიონში თავისი გამარჯვების შესახებ ოპოციზიურმა კოალიციამ "აკ"-მაც (AAK) განაცხადა.

ოფიციალური მონაცემებით, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხმის მისაცემად მოსახლეობის 45 პროცენტი მივიდა. სერბეთის ყოფილი პროვინციის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ეს პირველი არჩევნებია. სულ არჩევნებში 74 პოლიტიკური სუბიექტი მონაწილეობდა, აქედან 37 - პოლიტიკური პარტია, 19 - სამოქალაქო ინიციატივა, 16 - დამოუკიდებელი კანდიდატი და ორი კოალიცია.

კოსოვოს ხელისუფლება აცხადებდა, რომ განზრახული აქვს სამართლიანი და პატიოსანი არჩევნების ჩატარება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ როგორც ეთნიკური ალბანელები, აგრეთვე სერბების უმცირესობა. ამ უკანასკნელებს ოფიციალურმა ბელგრადმა, რომელიც კოსოვოს დამოუკიდებლობას არ ცნობს, არჩევნების იგნორირებისკენ მოუწოდა.

მთლიანობაში, დღეს გაერო-ს 192 სახელმწიფოდან კოსოვოს დამოუკიდებლობა 63-მა აღიარა. აქ სამშვიდობო ძალების ფუნქციით



ჯერ კიდევ იმყოფება ნატო-ს წევრი სახელმწიფოების 1000 სამხედრო მოსამსახურე.

კვირას ყველგან გამკაცრებული იყო უსაფრთხოების ზომები, განსაკუთრებით სერბებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში. საარჩევნო უბნები ადგილობრივი დროით 19:00 საათზე დაიხურა (გრიწვიჩის დროით 18:00 საათზე). პირველი შედეგები გვიან ღამით უნდა გამხდარიყო ცნობილი.

კოსოვოელი-ალბანელი ზოია ბუჯუპი ამბობდა, რომ მან ხმა მისცა "საკუთარი ქვეყნის, ყველა ჩვენგანის სასარგებლოდ."

პრემიერ-მინისტრმა ხაშიმ ტაჩიმ არჩევნების დღეს "დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ყველზე მნიშვნელოვანი დღე" უწოდა. "ჩვენ დღეს დავამტკიცეთ, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობას და ევროპულ

პერსპექტივებს იმსახურებს," - განაცხადა მან პრიპტი-ნაში საკუთარი ბიულეტენის ჩაგდებას.

სერბეთის მთავრობამ კოსოვოელ სერბებს არჩევნების ბოიკოტირებისკენ მოუწოდა, რადგან ამით არჩევნებისთვის ლეგიტიმურობა არ მიენიჭებინათ. ამ მოწოდებას კოსოვოში მცხოვრები სერბების უმრავლესობა დაემორჩილა. თუმცა, კოსოვოში მცხოვრები ზოგიერთი სერ-

ბი პოლიტიკოსის აზრით, ხალხი ბელგრადის მოწოდებას არ უნდა დამორჩილებოდა.

სერბეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი მომჩილო ტრაიკოვიჩი, რომელიც პრიპტი-ნასთან ახლო მდებარე გრაჩანიცას ანკლავში მერის თანამდებობაზე იყრიდა კენჭს, იმედოვნებს, რომ კვირას ჩატარებული არჩევნები "კოსოვოელი სერბების გზავჯარედინად" იქცა. "ჩვენ ამ არჩევნებში მონაწილეობით ორი ბოროტებიდან ნაკლებს ვირჩევთ და შესაძლოა ამ ორი ბოროტებიდან ნაკლები რაღაც კარგში გარდაიქმნას," - განაცხადა მან.

არჩევნების ბოიკოტირებისკენ მოწოდება ბარკაძეების სხვა მხრიდანაც ისმოდა. ეთნიკური ალბანელების ერთ-ერთი ოპოზიციური დაჯგუფება აცხადებდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა არ არის საჭირო, რადგანაც ეს არჩევნები, მისი აზრით, ძალიან დიდ უფლებამოსილებას ანიჭებს მუნიციპალიტეტებს, რომლებიც ნაწილობრივ, შესაძლოა, სერბების კონტროლის ქვეშ აღმოჩნდნენ.

კოსოვოს სასტიკი ომის დასრულებიდან ათი წლის შემდეგაც კი კოსოვოში ერთიანობის ნიშნები ძალიან ცოტაა. თუ ეს არჩევნები მართლაც ბოლომდე პატიოსნად და სამართლიანად ჩატარდება, ამან, შესაძლოა, გარკვეულწილად გავლენა მოახდინოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და ხალხის ერთიანობაზეც. ასევე იმაზე, რომ შესაძლოა დროთა განმავლობაში უფრო მეტმა ქვეყანამ ცნოს კოსოვოს დამოუკიდებლობა.

მომზადდა თამაზ კახაძემ

პალესტინა დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნას აპირებს

თამაზ კახაძე

კვირას 15 ნოემბერს პალესტინის დელეგაციის მეთაურმა ისრაელთან მოლაპარაკებების საკითხებში საბჭო-ერეკატმა განაცხადა, რომ პალესტინელი მხარე მოლაპარაკებების მსვლელობით იმედგაცრუებულია და შეთანხმების მიღწევის იმედს კარგავს. მისი სიტყვებით, პალესტინის ადმინისტრაცია გეგმავს, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიმართოს თხოვნით, რათა ისრაელის თანხმობის გარეშე არაბული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღიარებას დაუჭიროს მხარი.

ისრაელს ამ ფაქტზე მკაცრი რეაქცია ჰქონდა. ოფიციალური იერუსალიმის განცხადებით, პალესტინის სახელმწიფოს შექმნის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ მოლაპარაკებების გზით არის შესაძლებელი. ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს განცხადებით, პალესტინის მხრიდან მსგავსი ცალმხრივი ნაბიჯების გადადგმა ახლო-აღმოსავლეთში სამშვიდობო მოლაპარაკებებში განვილი გზას მთლიანად ხაზს გადაუსვამს.

თუმცა, პალესტინის ადმინისტრაციის განცხადებით, სწორედ სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებაში პროგრესის არარსებობამ აიძულა პალესტინა, გაერო-სთვის პალესტინის ავტონომიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობის თხოვნით მიემართა.

პალესტინის წარმომადგენლები აგრეთვე აღნიშნავენ, რომ ისრაელი

მდინარე იოდანეს დასავლეთ სანაპიროზე ებრაული დასახლებების შენებას კელავაც განაგრძობს და გამოხატა იმედგაცრუებას იმის გამო, რომ აშშ-მ ამ შენებლობისთვის ნერტილის დასმა ვერ შეძლო. საბჭო-ერეკატის განცხადებით, ისრაელის გადაწყვეტილება - მშენებლობები გაეგრძელებინა მინაზე, რომელიც 1967 წელს იქნა ოკუპირებული - პალესტინის ხელისუფლებას სხვაგვარი ქმედების შანსს არ უტოვებს.

ტერიტორია, რომელზეც პალესტინელებს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსება სურს, მოიცავს ლაზას სექტორს, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს და აღმოსავლეთ იერუსალიმს. ერეკატის სიტყვებით, არაბული სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები აპირებენ, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მსგავსი წინადადებით მიმართონ. ასეთი გადაწყვეტილება ცოტა ხნის წინ კაიროში არაბული ქვეყნების სამიტზე მიიღეს. "ჩვენ ახალი სახელმწიფოს შესახებ მოლაპარაკებებს ვანარბოებთ არა 18 დღის ან 18 თვის განმავლობაში, არამედ ამის შესახებ, ღმერთია მონმე, ჩვენ 18 წელია, ვლაპარაკობთ. დადგა ჭეშმარიტების ფაში," - განაცხადა პალესტინელმა პოლიტიკოსმა.

სანამ უშუშროების საბჭოს მიმართავენ, პალესტინელებს განზრახული აქვთ, კონსულტაციებისთვის მიმართონ "რუსეთს, ევროკავშირს და სხვა მნიშვნელოვან მოთამაშეებს საერთაშორისო არენაზე." "ჩვენ არსად გვეჩქარება. ჩვენ



გვაქვს იმის დრო, რომ კარგად მოვემზადოთ და სანამ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადავდგამთ, ავუხსნათ მსოფლიო საზოგადოებას ჩვენი პოზიცია," - განაცხადა ერეკატმა.

ისრაელის ეროვნული ინფრასტრუქტურის და ტრანსპორტის მინისტრებმა უზი ლანდაუმ და ისრაელ კაცმა განაცხადეს, რომ პალესტინის ცალმხრივი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ისრაელი იძულებული იქნება, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს იმ ტერიტორიების ანექსირება მოახდინოს, რომელზეც ებრაული დასახლებები მდებარეობს. უზი ლანდაუმ სიტყვებით, თუ პალესტინის მხარე მართლა გეგმავს, სუვერენიტეტი ისრაელის თანხმობის გარეშე გამოაცხადოს, მაშინ ისრაელის მთავრობა სრულ სამოქალაქო და სამხედრო კონტროლს დაამყარებს იმ ტერიტორიებზე, სადაც ებრაული

დასახლებებია განლაგებული. ამასთან, მინისტრმა აღნიშნა, რომ დეკლარაციის ცალმხრივად მიღება პალესტინასა და ისრაელს შორის მოლაპარაკებების განახლების შესაძლებლობას მოსპობს.

პალესტინის პრემიერ-მინისტრ სალამ ფაიდის განცხადებით, პალესტინის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადება "უბრალო ფორმალობა" იქნება, ვინაიდან ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი უკვე შექმნილია. მისივე განცხადებით, ახლა მთავარია, ამ ინსტიტუტებმა პალესტინელი ხალხის სასარგებლოდ იმუშაონ.

ფაიდის აზრით, პალესტინის სახელმწიფო უნდა შეიქმნას 1967 წელს არსებული საზღვრების ფარგლებში და მისი დედაქალაქი იერუსალიმი გახდეს.

ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ეხუდ ბარაკმა 15 ნოემბერს მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ მისი ქვეყნის ინტერესებში პალესტინასთან 2008 წელს შეჩერებული მოლაპარაკებების განახლება შედის. მინისტრის აზრით, თუ მხარეები მოლაპარაკებების მაგიდასთან შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, მსოფლიოში ცალმხრივად გამოცხადებული პალესტინის სუვერენიტეტის მხარდაჭერა გაიზრდება.

პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტმა მაჰმუდ აბასმა არაერთხელ განაცხადა, რომ მოლაპარაკებები მხოლოდ დასავლეთ სანაპიროზე მშენებლობის შეჩერების შემდეგ განახლდება. დღემდე ისრაელის მხარემ ამ ტერიტორიაზე 2500 ობიექტი ააშენა.

რევოლუ

ოლღა, ლილია, მარიაში, ხათუნა, ვერა, ანა, ეკატერინა...

პირველი გვარდიან

ჩამონათვალი იმისა, თუ როგორ უნდა მოქცეოდნენ "ქვეყნის გამყიდველთა" ცოლებს, ასევე, შეიღებ... აი, ეს "ოპერატიული ბრძანება" N00486, რომელიც შინაგარეო საქმეთა დეპარტამენტის "კავკასიური სახლის" საგამოფენო დარბაზში კიდა. ამასთან ერთად ექსპონირებულია არაერთი დოკუმენტი, მაგალითად: ქალთა ბანაკების რუკა, დასახვრეტთა სანქციონებული სიები, რეპრესირებულთა, მათ შორის დახვრეტილთა, ფოტოები, წერილები, ნაქარგები და ა.შ. ამ ყოველივეს ნახვა და იმის მოსმენა, რასაც "მემორიალის" წევრები იხსენებენ, რთულია ნებისმიერისთვის, განსაკუთრებით კი ადამიანებისთვის, რომლებმაც რეჟიმის ხვედრი, უსამართლობა საკუთარ თავზე, ოჯახსა და წინაპრებზე იწვენიეს. ექსპონატების აუღელვებლად დათვალიერება ძნელია, მაგრამ აუცილებელი... რატომ? იმიტომ, რომ გაცივნივით ისინი, პატივი მივავით მათ ხსოვნას და კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რამდენად საშიშია ძალა, რომელსაც სხვების სიცოცხლე არაფრად უღირს და ამასთან, რამდენად მტკიცეა და ძლიერი ადამიანი სულიერად, როდესაც უსამართლობას გადასახლებაშიც კი ებრძვის.



ნინო ღვინიაშვილი - რეპრესირებული

საზოგადოების ინდივიდუალულობა - აი, ამაზეც წუხან საზოგადოების წევრები. მათთვის, რომლებმაც ძალა და ენერჯია უდანაშაულოთა ხსოვნის უკვდავყოფას შეაღიეს, მტკივნეულია გულგრილობა, რომელიც გამეფებულია და ადამიანებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ისტორიის ცოდნაში უშლის ხელს. არადა, ეს ის შემთხვევაა, რომელიც უნდა გვახსოვდეს, თუნდაც იმიტომ, რომ არ გავიმეოროთ ის, რაც მოხდა და ვისწავლოთ დაფასება, თანაგრძნობა... "კავკასიურ სახლში" ორგანიზებული გამოფენა, რომელიც რეპრესირებულ ქალებს ეძღვნება, ბევრს ჯერ არ უნახავს, ამიტომაც გაცნობებთ, რომ მისი დათვალიერება 20 ნოემბრამდე შეგიძლიათ. საპატრიო ადგილასაა გამოფენილი დახვრეტილ ქალთა: ვერა ასათიანის, ამელია ელიაშვილის, ოლღა ოკუჯავას, ლილია გასვიანის, ვერა ვარაზაშვილის, მარია ორახელაშვილის, ოლღა სვა-



თამარ ნულუკიძე - რეპრესირებული

ლიდა ციციტიშვილისადმი (მას 10 წელი ჰქონდა მისჯილი და სასჯელს ჯერ თბილისის ციხეში იხდიდა, შემდეგ საზღაგში, ბოლოს კი ტაშკენტის პირველ ქალთა ბანაკში, სადაც 1942 წელს გარდაიცვალა) მიძღვნილი ლექსის ხელნაწერი, სახელწოდებით "დედას", რამდენიმე გათავისუფლების ცნობას, მათ შორის ეკატერინე ელიაშვილის, რომელიც ლია ელიაშვილს დედა გახლდა და წარჩინებულის ნოდება მას თავისიანებთან დამატებითი წერილის გავზავნის უფლებას აძლევდა, წიგნებს, რომლებიც ამ თემაზე დაიწერა და ა.შ.

რაღაც შეეხება საზოგადოება "მემორიალს", ის 1992 წლის ივლისში დაფუძნდა და 13 წლის განმავლობაში მართვის სისტემების ინსტიტუტის შენობაში ფუნქციონირებდა. ახლა ეს შენობა გაიყიდა და არასამთავრობო ორგანიზაცია ქუჩაში აღმოჩნდა... რა მიზნები ჰქონდა და აქვს "მემორიალს", რომლის თავმჯდომარეა გურამ სოსელია? საბჭოური რეჟიმის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ზრუნვა, კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის დანაშაულებრივი ქმედებების გამოზიარება. ამ საზოგადოების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ "მემორიალმა" დაარსების დღიდან დაიწყო კანონმდებლობითი საქმიანობა, საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესირებულთა სტატუსის დადგენისათვის ზრუნვა და შექმნა კანონპროექტი რეპრესირებულთა რეაბილიტაციის შესახებ. მისმა წევრებმა, რომელთა რიცხვი 7 ათასზე მეტია, პარლამენტის იურიდიულ კომიტეტშიც იმუშავეს იმისათვის, რომ პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპ-

ლად აღიარების კანონპროექტი დაეხვეწათ და კანონში შეეტანათ დამატებები, რომლებიც პოლიტიკური რეპრესირებულთათვის კომპენსაციის გაცემასა და ქონებრივი უფლების აღდგენას ითვალისწინებდა. "მემორიალი" წევრებს, სოციალურად მძიმე პერიოდში, პროდუქტებითა და წამლებით ეხმარებოდა. მათ იმდენი მოახერხეს, რომ სამედიცინო კომისიამ კვირაში ერთი დღე "მემორიალში" განვერია-ნებულთა გასინჯვასა და სამედიცინო კონსულტაციებს დაუთმო. საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. ამ მიმართულებით მათ ბევრი იმუშავეს. ოთხშაბათობით სისტემატურად ატარებდნენ ხსოვნის საღამოებს, შეხვედრებს, ლექციებს, რომლებსაც ასაკოვნებთან ერთად, ახალგაზრდებიც ესწრებოდნენ. "მემორიალების" მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა რიცხვმა ასს გადააჭარბა, მოეწყო მ. ჯავახიშვილის, ლ. გოთუას, ე. მიქელაძის, ა. ახმეტელის, დ. შევარდნაძის, გ. წერეთლის, ჯ. ჯანდიერის, ქრ. რაჭველიშვილის, გ. კოტეტიშვილის, დ. ჩიანელის, მ. წერეთლის, ლ. ხაინდრავასი, ო. ოცხელის, გ. ბაზოვის, გ. ბროსის, შ. მიქელაძის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, შ. ცინცაძის, თ. ზალდასტანიშვილის, ო. ოკუჯავასი, ლ. ციციტიშვილის, კ. ბუაჩიძის, ნ. სამადაშვილის, ხ. ჭიჭინაძის, გრ. კოსტავასი, ვ. აბაშიძის, ე. ლორთქიფანიძის და სხვათა ხსოვნის საღამოები. მოეწყო შეხვედრები საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესირებულთა, მაგალითად: ტაბუა ამირეჯიბთან, ოთარ კანდელაკთან, შალვა მჭედლიშვილთან, ლუკა ტყემალაძესთან, ლეო ბოლქვაძესთან, ასევე, წიგნებისა და ფილმების პრეზენტაციები, განხილვები, გამოფენები - "1937" და "მე-20 საუკუნის 20-იანი წლების პოლიტიკური რეპრესირებულები..." დაარსებიდან დღემდე საზოგადოებას ხელმძღვანელობდნენ: თენგიზ ბუაჩიძე, მინდია სალუქვაძე, ილამაზ მინიშვილი, ახალ კო მისი თავმჯდომარეა გურამ სოსელია, რომელიც წლობით შეგროვებულ უნიკალურ მასალას სახლში ინახავს, რადგანაც ჯერჯერობით არ მოიძებნა ადგილი, სადაც "მემორიალი" დაიდებდა ბინას და საერთო ტვივილით გაერთიანებულია ძალისხმევით, ხსოვნას შეგვინარჩუნებდა.

ყურადღება: იყიდება

ვლადიმერ ნაბოკოვის ხელნაწერი!

ცნობილი მწერლის, ვლადიმერ ნაბოკოვის მდიდარ თაყვანისმცემლებს, შანსი ეძლევათ მწერლის ბოლო რომანი - **The Original Of Laura** პირდაპირ მწერლის ხელნაწერიდან წაიკითხოთ. აღნიშნული ხელნაწერი 138 გვერდიანია. აუქციონი 4 დეკემბერსაა დაინიშნული, საწყისი ფასი კი 400 000 დოლარია.

ვლადიმერ ნაბოკოვის შვილი, დიმიტრი, კარგა ხნის განმავლობაში ორჭოფობდა: ვერ გადაეწყვიტა, მამის უკანასკნელი სურვილი შეესრულებინა და დაუსრულებელი რომანი გაენადგურებინა, თუ გამოექვეყნებინა. 2008 წლის ბოლოს, მან არჩევანი გააკეთა. ნიგნი 2009 წლის 17 ნოემბრიდან ამერიკული მაღაზიების დახლებზე გამოჩნდება, რამდენიმე დღეში კი რუსულად ნაკითხვაც გახდება შესაძლებელი. მის გასაფორმებლად ბოტიჩელის ცნობილი ნახატი - "გაზაფხული" იქნება გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ რომანის ნაწილი უკვე დაიბეჭდა ამერიკულ ჟურნალში **Play Boy**. დიმიტრი ნაბოკოვის მტკიცებით, მამამისი უკანასკნელი რომანი - "ლაურა", მის წინა რომანებს არაფრით ჰგავს და ერთგვარ შედეგარადაც შეიძლება ჩაითვალოს. გარ-



დიმიტრი და ვლადიმერ ნაბოკოვები

და ამისა, მკითხველს საშუალება ექნება უშუალოდ მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში შეიხედოს. ნაბოკოვის რომანის აუქციონზე გატანის ფაქტს დადებითად აფასებს ირლანდიელი მწერალი, ჯონ ბენვილი. მისი თქმით, ნაბოკოვის მიერ გასმული თითოეული ხაზიც კი ღირებულია. აღნიშნული აუქციონის დასრულების შემდეგ, მწერლის მემკვიდრე აუქციონზე მამის 5 ნიგნის გატანასაც გეგმავს. მათი დამახასიათებელი ნიშანი მწერლის ხელმოწერაა. საწყისი ფასი, სავარაუდოდ, 10 000 დოლარი იქნება.



**სტაჟირება ამერიკაში
ინჟინერ-ქართველი პროფესიონალების შერჩევა
საზოგადოებრივი კავშირების 2010
წლის პროგრამებისათვის**

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ამერიკული ორგანიზაცია PH International (ადრე ცნობილი როგორც „პროექტი ჰარმონია“) მოხარულნი არიან გამოაცხადონ 2010 წლის საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის დაწყება. საზოგადოებრივი კავშირები, ეს არის სამკვირიანი პროგრამა აშშ-ში, რომელიც ხელს უწყობს სახალხო დიპლომატიის, ეკონომიკური ზრდისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას საქართველოში. პროგრამა მოიცავს სემინარებს აშშ-ში, ანალოგიურ ორგანიზაციებში ვიზიტებს, ამერიკელ პროფესიონალებთან პირისპირ შეხვედრებს და ცხოვრებას ამერიკელ მასპინძელ ოჯახებში. ყველა ხარჯს, როგორცაა მგზავრობის ღირებულება აშშ-ში, დაზღვევა, პროფესიული და კულტურული პროგრამები, ცხოვრება და კვება აშშ-ში ფარავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, გარდა პროგრამის მონაწილეთა პასპორტის ღირებულებისა და საქართველოს ფარგლებში მგზავრობისა.

2010 წელს, საზოგადოებრივი კავშირების პროფესიული პროგრამის ფარგლებში შერჩევა შემდეგი პროფესიული ჯგუფები, რომლებიც სტაჟირებას აშშ-ში 2010 წლის მარტ - აპრილში გაივლიან:

ფილმების დაარქივება - ქვეყნის მასშტაბით (10 მონაწილე)

ფილმების დაარქივების პროფესიული პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ქართული კინო ცენტრის, ეროვნული არქივის, კულტურის სამინისტროს, ქართული ფილმის და ფილმის მუზეუმის წარმომადგენლებს, პროფესიონალებს, მენეჯერებს და ტექნიკურ თანამშრომლებს, რომლებიც მუშაობენ ფილმის არქივის შექმნაზე. აგრეთვე სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებს, რომლებიც ხელს უწყობენ ქართული ფილმის არქივის შექმნას და განვითარებას. საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: **2009 წლის 21 დეკემბერი, 17:00 საათი.**

საზოგადოებრივი მაუწყებელი - ქვეყნის მასშტაბით (10 მონაწილე)

საზოგადოებრივი მაუწყებლის პროფესიული პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელებს, გადაცემების პროდიუსერებს და ჟურნალისტებს, აგრეთვე საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრებს, სამოქალაქო საზოგადოების იმ აქტიურ წევრებს, რომლებიც კონკრეტულად მედიის განვითარებაზე მუშაობენ, მედია ადვოკატების ჯგუფების ლიდერებს, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს, და კანონმდებლებს, რომლებიც სპეციალიზირებული არიან მედია საკითხებში. საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: **2009 წლის 22 დეკემბერი, 17:00 საათი.**

ნარჩენების გადამუშავება - ქვეყნის მასშტაბით (10 მონაწილე)

ნარჩენების გადამუშავების პროფესიული პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნარჩენების გადამამუშავებელი კომპანიების მენეჯერებს, არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებსაც გააჩნიათ ნარჩენების გადამამუშავების შესაბამისი საშუალო გამოცდილება და ხელს უწყობენ ამ პროცესის განვითარებას საქართველოში. საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: **2009 წლის 23 დეკემბერი, 17:00 საათი.**

აპლიკაციების მიღება და ჩაბარება:

იჩქარეთ! პროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეავსონ სააპლიკაციო ფორმა და ჩააბარონ იგი საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის ოფისში თბილისში. დაგვიანებით შემოტანილი აპლიკაციები არ განიხილება. ასევე გაითვალისწინეთ, რომ აპლიკაციები ელექტრონული ფორმით არ მიიღება. აპლიკაციები შეიძლება მიიღოთ საზოგადოებრივი კავშირების ოფისში ან ჩამოტვირთოთ პროგრამის ვებ-გვერდიდან: www.ccgeorgia.ge

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, დაუკავშირდით საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის ოფისს თბილისში:

ვ. ანჯაფარიძის ქ. N7, II სადარბაზო, II სართული
თბილისი 0179, საქართველო
ტელ/ფაქსი: +995 (32) 223847, 250071
ელ.ფოსტა: tamuna.pruidze@ph-int.org
ვებ-გვერდი: www.ccgeorgia.ge & www.ph-int.org

განცხადება

გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს შპს "რესტორანი მახინჯაური 2004"-ის (რეგისტრირებული ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში 06/03/1998წელს, რეგისტრაციის N04/4-100, იურიდიული მისამართი: დაბა მახინჯაური, თბილისის გზატკეცილი N12, საიდ კოდი:248382557) შერწყმა შპს "სასტუმროების ქსელ რჩეულთან" (რეგისტრირებული ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რეგისტრაციის თარიღი 29.05.2007, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი ლესელიძის N30 საიდ. კოდი: 204530551). დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ შპს "სასტუმროების ქსელი რჩეულის" დირექტორს ქალბატონ მაია ლომიძეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი აღმაშენებლის N150 ტელ: 729009 899947947

ცვლილება ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის მიერ რაიონის ტერიტორიის მწვანე ნარგავების მოვლისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე 2009 წლის 10 ნოემბერს გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში

I ლოტში შევიდეს ცვლილება:

ლოტი-1: 43.918 ჰა, მათ შორის:

5. ნულუკიძის მე-2 შესახვევში 25-ე კორპუსთან არსებული სკვერი - 0.02 ჰა.

სატენდერო კომისია

**ქართულ-თურქული ერთობლივი კომპანია ბლექ სი გრუპი
GEORGIAN-TURKISH JOINT COMPANY BLACK SEA GROUP**



თბილისი
12/11/2009

განაცხადი ასანიზატორის მანქანის შესყიდვაზე 24 საათში

თურქულ-ქართულ კომპანია შ.პ.ს. "ბლექ სი გრუპი" აცხადებს ტენდერს ასანიზატორის მანქანის შესყიდვასთან დაკავშირებით.

გვსურს შევისყიდოთ ახალი ან მეორადი კარგ მდგომარეობაში მყოფი ასანიზატორის მანქანა.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ შ.პ.ს. "ბლექ სი გრუპი"-ს შესყიდვების მენეჯერს მათე ოქროპი-რიძეს (877) 990 304.

გმადლობთ

საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აპარატმა 2009 წლის ასიგნებების ფარგლებში ჩაატარა კომპიუტერული ტექნიკის სახელმწიფო შესყიდვა ტენდერის საშუალებით.

გაიმარჯვა შპს "დელტა კომმა", რომელთანაც 2009 წლის 16 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება 31126 (ოცდათერთმეტი ათას ასოცდაექვსი) ლარზე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ცვლილება

სსიპ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. წყლის რესურსებისა და ჰიდროლოგიური პროგნოზების განყოფილებაში:

- ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 4 მთელი საშტატო ერთეული;
- ბ) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 2 ნახევარი (0.5) საშტატო ერთეული;
- გ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 4 მთელი საშტატო ერთეული;
- დ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 6 ნახევარი (0.5) საშტატო ერთეული;
- ე) მეცნიერი თანამშრომელი, 1 მთელი საშტატო ერთეული;
- ვ) მეცნიერი თანამშრომელი 3 ნახევარი (0.5) საშტატო ერთეული.

2. კლიმატოლოგიის და აგრომეტეოროლოგიის განყოფილებაში:

- ა) განყოფილების გამგე, 1 მთელი საშტატო ერთეული;
- ბ) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 2 მთელი საშტატო ერთეული;
- გ) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 2 ნახევარი (0.5) საშტატო ერთეული;
- დ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 3 მთელი საშტატო ერთეული;
- ე) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1 ნახევარი (0.5) საშტატო ერთეული;
- ვ) მეცნიერი თანამშრომელი, 1 მთელი საშტატო ერთეული.

3. ამინდის პროგნოზების, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების მოდელირების განყოფილებაში:

- ა) განყოფილების გამგე, 1 მთელი საშტატო ერთეული;
- ბ) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 1 მთელი საშტატო ერთეული;
- გ) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 1 ნახევარი (0.5) საშტატო ერთეული;
- დ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 5 მთელი საშტატო ერთეული;
- ე) მეცნიერი თანამშრომელი, 2 მთელი საშტატო ერთეული;
- ვ) მეცნიერი თანამშრომელი, 1 მთელი საშტატო ერთეული.

4. ბუნებრივი გარემოს დაჭუჭყიანების მონიტორინგისა და პროგნოზების განყოფილებაში:

- ა) განყოფილების გამგე, 1 მთელი საშტატო ერთეული;
- ბ) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 2 მთელი საშტატო ერთეული;
- გ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 6 მთელი საშტატო ერთეული;
- დ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 2 ნახევარი (0.5) საშტატო ერთეული.

**ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო,
დირექცია.**



განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

- შპს "ენგურჰესი", საფოსტო/მ - ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ.90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისი. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერო აცხადებს ტენდერს 260 მვტ სიმძლავრის ჰიდროაგრეგატის დაშლა -ანყობის სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტაციას დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მოსალოად.
- მომსახურების განვითარება: 600 დღე. 2009წლის 20 დეკემბრიდან 2011 წლის 12 აგვისტომდე.
- მომსახურების განვითარება ადგილია: გალის რ-ნი დას. საბერო შპს "ენგურჰესი".
- დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, (ორიგინალი დახურულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 8 დეკემბრის 11 სთ-დან 2009 წლის 8 დეკემბრის 14 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ.90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისი. **შპს-სთვის** გაიხსნება იმავე დღეს, იგივე მისამართზე დაინტერესებული პირთა თანდასწრებით სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადის დამთავრებისთანავე.
- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - იურიდიული პირთათვის:
 - ამონაწერი სამეწარმეო რეგისტრაციისა;
 - ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
 - ცნობას სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის საქმის წარმოება;
 - ცნობას მომსახურებელი ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არ არსებობის შესახებ.
 - შესყიდვაში მონაწილე მსურველი იურიდიული პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)
 - ინდ. მენარმე (ფიზიკური პირისათვის).
 - ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს ინდ. მენარმის(ფიზ.პირის) მიმართ გადახდის უუნარობის საქმის წარმოება.
 - შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
 - ამონაწერი სამეწარმეო რეგისტრაციისა და ცნობა საქრთველოს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოდან ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
 - როგორც იურიდიული, ასევე ინდ.მენ(ფიზ.პირთა)-თვის
 - ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდ-

ვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი, პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.
 ბ)ინფორმაცია უკანასკნელი 2 წლის გამწვანებაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

6. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მომღები : შპს "ენგურჰესი"
სს "პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის ფილიალის
ზუგდიდის განყოფილება
ს/კოდი 251716371 ა/ა 301467126 ბ/კ 220101929

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება, ქართულ ენაზე, ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს, შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მომართვის წარმოდგენის შემდეგ 2009წლის 17 ნოემბრის 11 საათიდან 8 დეკემბრის 11 საათამდე. მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისი, ასევე ქ. თბილისი ჭავჭავაძის 50 "ენგურჰესის" ოფისი.

8. პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, გარანტიის მოქმედების ვად 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას, ხოლო შემდგომ ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 2%-ის ოდენობით.

9. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ეხება სუბკონტრაქტორებსაც, თუ პრეტენდენტი მათთან ერთად ადგენს სატენდერო წინადადებას.

10. იმ პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტაცია, რომელიც არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო განცხადების მოთხოვნებთან, იქნება დისკვალიფიცირებული და არ იქნება დაშვებული შერჩევისათვის.

11. წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი სათანადოდ უფლებამოსილი ან ხელმძღვანელი პირის მიერ. ხელმოწერილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

12. ტენდერის საშუალებით გამოვლინდება ერთი გამარჯვებული;

13. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებული პირები უნდა დაუკავშირდნენ შპს "ენგურჰესის" შესყიდვების სამსახურს ტ/ფ. 8(215) 5 22 94 895 22 70 60

სატენდერო კომისია.

ცვლილება ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის მიერ რაიონის ტერიტორიის მწვანე ნარგავების მოვლისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე 2009 წლის 10 ნოემბერს გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში

ლოტში შევიდეს ცვლილება::

ლოტი-1: 43.918 ჰა, მათ შორის:

5. წულუკიძის მე-2 შესახვევში 25-ე კორპუსთან არსებული სკვერი - 0.02 ჰა.

სატენდერო კომისია

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „დავების განმხილველი ცენტრი“

DDRC-ს სასამართლო მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია შპს "ირმა 2008"-ს, ირმა შაინიძეს და ემინე პეტრიძეს მიმართ. ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 1 დეკემბერს 13:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველ ცენტრში" შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული. ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე შპს "ირმა 2008" მის. ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის N4, დირექტორი ირმა შაინიძე მცხოვრები: ქობულეთი, ბარათაშვილის N12; ირმა შაინიძე მცხოვრები: ქობულეთი, ბარათაშვილის N12; ემინე პეტრიძე, მცხოვრები ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. N2.

სატენდერო განცხადებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ (2009 წლის 13 ნოემბერი, გაზეთი "24 საათი" N249) გამოქვეყნებულ **სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვის** შესახებ სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები:

2. შევიდეს ცვლილებები და დამატებები სატენდერო განცხადების მე-2 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

- შესყიდვის ობიექტის დაყოფილია 2 (ორი) ლოტად:

- ლოტი N1 - ქ. ზუგდიდში, რუსთაველის ქ. N90-ში მდებარე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულზე მდებარე ორი საოფისე ოთახის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

- ლოტი N2 - ქ. ზუგდიდში, რუსთაველის ქ. N90-ში მდებარე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის შესასვლელთან, შემდგომში ფასადის რეკონსტრუქციისათვის, კოლონების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;

3. სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები და პუნქტები რჩება უცვლელი.

აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადებაში ცვლილება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ 2009 წლის 24 ნოემბერს დანიშნული აუქციონის განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება :

აუქციონზე გამოტანილი ყადაღადებული ქონების ჩამონათვლიდან ამოღებულ იქნას შემდეგი ქონება:

	სარეკლამო სტენდი	1 ცალი	60	60	3
	რკინა-ბეტონის კონსტრუქცია ე.წ. „სინკარი“	12 ცალი		380	20
შ.პ.ს „გეოპლანტ-ლიხაური“ ს/ნ 237098430 მის: ოზურგეთის რ-ნი სოფ: ლიხაური	ძალოვანი კარადა (მავთულბადის კართი)	4 ცალი (შესამოღებელია ცალბით გაყიდვა)	140	560	30
	ძალოვანი კარადა (რკინის)	7 ცალი	200	1400	70
	ეზოს შემოღობვა (კუთხოვანას ჩარჩოში ჩასმული მავთულბადე 2,25მ X1,50მ)	44 ცალი		770	40
	ეზოს შემოღობვა (ლითონის ზოლურები ლითონის პროფილებზე)	88გრძ/მ		2100	105

კოპერატივი „გულიანი“-ს (ს/ნ -- 233642278) ყადაღადებული ქონების კერძოდ, ტრაქტორი „დტ-75 ბს“ (საქარხნი №127447, ძრავი №737915, გამოშვების წელი 1988) საწყისი გასაყიდი ფასი განისაზღვროს 3500 (სამიათასხუთასი) ლარით.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს საახალწლო აქსესუარების შექმნის სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტორს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დანტერესებულ პირს.

2. საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 25 დეკემბრამდე პერიოდი.

3. სატენდერო დოკუმენტაციის (ქართულ ენაზე) გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 17 ნოემბრის 12:00 საათიდან 2009 წლის 7 დეკემბრის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების სამსახური.

*ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებლობა აქვთ გაცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდები უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

- მიმღების დასახელება: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია
- ს/კ 245576826
- მიმღების ბანკი: ს.ს. "პროკრედიტ ბანკის" ბათუმის ფილიალი
- ბანკის კოდი: 220101901
- ანგარიში: 360801010300125
- გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი, საახალწლო აქსესუარების შექმნა

5. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს განცხადება (დალუქვის გარეშე), ორი დახურული კონვერტით*: პირველ კონვერტში საკვალიფიკაციო მონაცემები და ტექნიკური წინადადებები, ქართულ ენაზე, ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსეროასლი) და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად (CD დისკზე), მეორე კონვერტში ფინანსური წინადადება და საბაზისო მონაცემთა ნუსხის 9.1. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები ქართულ ენაზე, ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსეროასლი) და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად (CD დისკზე). დალუქული კონვერტები (კონვერტზე გაკეთებული შესაბამისი აღნიშვნებით) უნდა წარმოადგინოს 2009 წლის 8 დეკემბრის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაცია.

*პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების წარდგენისა და კონვერტების გახსნა მოხდება ალტერნატიული წესით "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-141 მუხლის შესაბამისად.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირებისათვის:

- ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
- გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

6.2. ფიზიკური პირებისათვის:

- ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება.

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
- ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

შენიშვნა:

- პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინოს სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად;

- პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინოს დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები;

- განცხადების მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

7. პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

8. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს საბაზისო მონაცემების 9.1. პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატისგან. ტელ: (888222) 7-26-18, (888222) 7-26-17, ან მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების სამსახური.

სატენდერო კომისია

შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია" აცხადებს ფასთა გამოკითხვას

ბუფუაჰესის 35-10-0,4 კვ ძაბვის ელექტრომოწყობილობა-დანადგარების ტესტირების და მათი ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნის მომზადების სამუშაოების შესყიდვაზე.

დამატებითი ინფორმაციის და საჭირო დოკუმენტაციის მისაღებად დაუკავშირდით: საკონტაქტო პირს - ლალი გოგიშვილი, 899 51 30 02, 21 03 55, ელ.მის. I-gogishvili@giec.ge

წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 20 ნოემბერი.

აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადებაში ცვლილება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ 2009 წლის 20 ნოემბერს დანიშნული აუქციონის განცხადებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

აუქციონზე გამოტანილი ყადაღადებული ქონების ჩამონათვლიდან ამოღებულ იქნას შემდეგი ქონება:

„ნილის საზოგადოებრივი მეურნეობა“ (ს/ნ 223098207) მის: ასპინძის რ-ნი	ტრაქტორი ტ-150	1 ცალი	600	600	30
	ავტომანქანა გაზ-53	1 ცალი	700	700	35
	ავტომანქანა ზილ-130	1 ცალი	500	500	25
	დუპლექსის ტიპის საცხოვრებელი სახლი	1 ცალი	2 000	2 000	100

ქვემოთ ჩამოთვლილი ქონების რეალიზაცია განხორციელდეს ცხრილში მოცემული მონაცემების (საწყისი გასაყიდი ფასი, ბიჯი) შესაბამისად

„ხეოთის კოლმეურნეობა“ (ს/ნ 224065954) მის: ახალციხის რ-ნი სოფ. ხეოთი	კომბაინი	1 ცალი	300	300	15
	სასენაჟე ორმო	1 ცალი	100	100	5
სოფ. პტენის კოლმეურნეობა (ს/ნ 223351138) მის: ახალქალაქის რ-ნი, სოფ. პტენა	ფერმის საკვების საამქრო შენობა	1 ცალი	250	250	15
სოფელ აბულის ს.ს კოლექტიური საწარმო (ს/ნ 223351165) მის: ახალქალაქის რ-ნი სოფ. აბული	ავტომანქანა გაზ-53	1 ცალი	325	325	20
	წყლის ავზი 4 ტონიანი	1 ცალი	75	75	5
	ხის დამამუშავებელი დანადგარი	1 ცალი	100	100	5
	მინერალური სასუქის დამფაბრიკელი	1 ცალი	100	100	5
	მისაბმელი ავზი 4 ტონიანი	1 ცალი	100	100	5

მიკროტრაქტორი	1 ცალი	150	150	8	
	სენაჟის ორმო	2 ცალი	125	250	15
მარცვლის საწყობი 190 მ2	1 ცალი	2000	2000	100	
მუსხის კოლმეურნეობა (ს/ნ 224066294) მის: ახალციხის რ-ნი, სოფ. მუსხი	ხარების ბოსელი	1 ცალი	400	400	20
	ბოსელი, საკარტოფილე საწყობი	1 ცალი	1000	1000	50
	საცხოვრებელი ბინა ზანზობის მთაში	1 ცალი	300	300	15
	საცხოვრებელი სახლი	1 ცალი	75	75	5
	საცხვარე ფარები	1 ცალი	150	150	8
	წისქვილი	1 ცალი	750	750	40
	ქვის სახეხრი	1 ცალი	100	100	5
	ტრანსპორტიორი	1 ცალი	50	50	3
	დაუმთავრებელი შენობა	1 ცალი	800	800	40
	მაცივარი კარადა	1 ცალი	225	225	15
	ხის სახეხრი დაზგა	1 ცალი	100	100	5
	ბელარუსი ესკავატორი	1 ცალი	200	200	10
	ვიმი მარცვლის სარჩევი	1 ცალი	40	40	2
	ბადის შესაწამლი აპარატი	1 ცალი	50	50	3
	პრესი სატუკი	1 ცალი	50	50	3
	სამჭედლოს ფარდული	1 ცალი	55	55	4
	სახარატო დაზგა	1 ცალი	75	75	4

ბანკსა და ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მომსახურების განხილვის საგადასახადო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 15 თებერვლამდე პერიოდი.

3. სატენდერო დოკუმენტაციის (ქართულ ენაზე) გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ*, 2009 წლის 17 ნოემბრის 12:00 საათიდან 2009 წლის 7 დეკემბრის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების სამსახური.

*ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

- მიმღების დასახელება: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია
- ს/კ 245576826
- მიმღების ბანკი: ს.ს. "პროკრედიტ ბანკის" ბათუმის ფილიალი
- ბანკის კოდი: 220101901
- ანგარიში: 360801010300125

- გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი, საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმების მომსახურება

5. პრეტენდენტებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ორ ნაბეჭდო ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსეროასლი) და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად (CD დისკზე), დალუქული კონვერტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 8 დეკემბრის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის, ლუკა ასათიანის ქ. N25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაცია. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

6.2. ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება.

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

შენიშვნა:

- პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად;

- პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები;

- განცხადების მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

7. პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

8. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს საბაზისო მონაცემების 9.1. პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატისგან. ტელ: (888222) 7-26-18, (888222) 7-26-17, ან მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების სამსახური.

სატენდერო კომისია

აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადებაში ცვლილება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ 2009 წლის 17 ნოემბერს დანიშნული აუქციონის განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება :
შ.პ.ს. „პარი-მაჩი“-ს (ს/ნ -- 204426031) ქონება განისაზღვროს ქვემოთმოყვანილი ცხრილის შესაბამისად

შპს „პარი-მაჩი“ (ს/ნ 205169280) იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, ნუგუზიძის №48, კ4	ტელევიზორი „სამსუნგი“ (პლანური 105 სმ. დიაგონალი) (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე)	2 ცალი	500	3500	25 (ყოველი ერთეულის შემთხვევაში)
	ტელევიზორი „სამსუნგი“ (პლანური 65 სმ. დიაგონალი)	1 ცალი	250	250	15
	ტელევიზორი LG (პლანური 70 სმ. დიაგონალი) (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე)	1 ცალი	300	300	20
	ტელევიზორი „სამსუნგი“ პატარა (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე)	10ცალი	80	800	5 (ყოველი ერთეულის შემთხვევაში)
	კომპიუტერი P3 (კომპლექტი) (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე)	11ცალი	150	1650	10 (ყოველი ერთეულის შემთხვევაში)
	კომპიუტერი P4 (კომპლექტი) (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე)	7ცალი	200	1400	15 (ყოველი ერთეულის შემთხვევაში)
	დარბაზის მაგიდა	47ცალი	30	1410	100
	დარბაზის სკამი	105ცალი	5	525	30
	ჯავშნიანი მინა(შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე)	16ცალი	100	1600	100
	ნაგვის ურნა პლასტმასის	52ცალი	5	260	15
	საფერფლე (ვერცხლისფერი)	56ცალი	7,50	420	20
	საოფისე სავარძელი	15ცალი	12,5	187,5	10
	ქსეროქსის აპარატი „კონიკა“	7ცალი	1000	7000	350
	სალაროს აპარატი „მერკური“	8ცალი	50	400	15
	პრინტერი მოდელი HP-1018	14ცალი	35	490	15
	საოფისე მაგიდა	14 ცალი	40	560	20
	კარადა	4ცალი	50	200	15
	კარადა დიდი(შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე)	6ცალი	125	750	50
	კარადა პატარა	3ცალი	75	225	15
	ვიდეო თვალი	5ცალი	20	100	10
	ვიდეო სისტემა	1ცალი	40	40	5
	სეიფის კარადა	6ცალი	125	750	50
	ტელეფონის აპარატი	6ცალი	5	30	5
	ვენტილატორი	5ცალი	5	25	5
	მიკროფონი	17ცალი	15	255	15
კონდიციონერი (მიდეა) (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე)	7 ცალი	140	980	10 (ყოველი ერთეულის შემთხვევაში)	
გენერატორი ახალი (TG2500DCHAOMA)	1ცალი	350	350	20	
გენერატორი	1ცალი	300	300	20	
ჰაბი ტერმინალი	2ცალი	15	30	5	
საინფორმაციო დაფა	7ცალი	25	175	5	

აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადებაში ცვლილება

